მედია კამპანია ძალადობრივი ექსტრემიზმთან ბრძოლის და მისი პრევენციის შესახებ

ტექნიკური დავალება

დამკვეთი - საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი - GCSD

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არის მიუკერძოებელი და ნეიტრალური არასამთავრობო ორგანიზაცია. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭირვალობის პრინციპებს.

ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება; მისი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა.

GCSD, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, 2020 წლიდან, ოთხწლიან პროგრამას - „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის მიმართულებით საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ახორციელებს. პროგრამის მიზანია, საქართველოში ყველა ფორმის ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის ხელშეწყობა, ასევე, საზოგადოების მედეგობის ამაღლება და სახელმწიფოს შესაძლებლობების გაძლიერება.

საინფორმაციო კამპანიის მიზანი - იდეოლოგიურად მოტივირებული ექსტრემისტული ქმედებების კლების ხელშეწყობა, რომლებიც ძალადობრივ გამოხატულებებს ჰპოვებენ.

კამპანიის შედეგად სამიზნე ჯგუფებში უნდა ამაღლდეს ექსტრემიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ ცნობიერება. განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი უნდა შეუწყოს მათში, ამ მიმართულებით, გარკვეულ ქმედით ნაბიჯებს. მკაფიოდ განირჩეოდეს ერთმანეთისგან განსხვავებული აზრის მიმღებლობა და განსხვავებული აზრის გამო ექსტრემისტული გამოხატულებები.

<u>**კამპანიის მიზანი არ არის,**</u> რომ განსხვავებულ აზრს ან მის არსებობას ებრძოლოს. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს განსხვავებული აზრის ქონის გამო ძალადობრივი ქმედებები შემცირებას. სამისზნე ჯგუფებში გაჩნდეს აზრი და მის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი, რომ შესაძლოა ადამიანს ჰქონდეს განსხვავებული აზრი, თუმცა ეს არ არის, საპირისპირო მოსაზრების მქონე ადამიანზე ძალადობის გამამართლებელი პირობა.

კამპანიის სამიზნე სეგმენტი

კამპანიის პირველადი სამიზნე ჯგუფი - რადიკალიზაციის და ექსტრემიზმის მიმართ მოწყვლადი მოქალაქეები და უკვე რადიკალურად და ექსტრემისტულად განწყობილი მოსახლეობა;
მეორადი სამიზნე ჯგუფი - ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ ან შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ სამიზნე ჯგუფებზე
მესამედი სამიზნე ჯგუფი - ფართო საზოგადოება.

მედია კამპანიის განმახორციელებელმა კომპანიამ დამკვეთთან ერთად უნდა შეიმუშაოს საინფორმაციო კამპანია, რომელიც სხვადასხვა ეტაპებისგან იქნება შემდგარი და ჯამში გადანაწილებული იქნება **ერთი წლის** განმავლობაში. მასში ჩართული იქნება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი, სამიზნე ჯგუფების სპეციფიკაციების უკეთესად შესწავლის შესაბამისად. ყოველი აქტივობების ციკლის დაწყებამდე გაზომოს სავარაუდო მოლოდინები და დასასრულს მიღწეული შედეგები. ყოველი მომდევნო აქტივობათა ციკლი წინამორბედის გამოცდილებით გადაიხედება და შევა შესაბამისი ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაინტერესებულმა კანდიდატმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს/გამოაგზავნოს შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

- მომსახურების ფასი, დღგ-ის ჩათვლით;
- სრულად შევსებული განაცხადის ფორმა ქართულ ენაზე;
- მონაწილე პირთა პროფესიული რეზიუმეები ქართულ ენაზე (არაუმეტეს ორი გვერდისა);
- დამზადებული პროდუქტების ფორტფოლიო;
- ინფორმაცია ორი რეკომენდატორის შესახებ;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ცნობა საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ (შემოსავლების სამსახურის პირადი გვერდიდან, დაუმოწმებელი).

ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია უნდა გამოგზავნოთ ელ. ფოსტით, შემდეგ მისამართზე: gcsd@gcsd.org.ge არაუგვიანეს **2022 წლის 31 იანვრის 18:00 საათისა.**

ელექტრონული ფოსტის ველში უნდა მიუთითოთ **„ტენდერი მედია კამპანიის განხორციელებისთვის“**.

2021 წლის 14 დეკემბერს 12:00 საათზე, GCSD ტენდერთან დაკავშირებულ ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრას გამართავს Zoom-ის პლატფორმის საშუალებით.

რეგისტრაციისთვის, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ ელ. ფოსტაზე - gcsd@gcsd.org.ge .

სატენდერო წინადადებები და თანდართული დოკუმენტაცია შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- შემოთავაზებული კონცეფცია და დაგეგმილი აქტივობები;
- პროდუქტის ხარისხი და ანალოგიურ სფეროში არსებული გამოცდილება;
- პროდუქტის შექმნის ღირებულება;
- სამუშაოების შესრულების ვადა;

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება ან/და დაზუსტება შესაძლებელია gcsd@gcsd.org.ge -ზე. ტენდერთან დაკავშირებით კითხვების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2022 წლის 20 იანვარი.